



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

30 სექტემბერი 2024



N 548/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულევში შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოსა და წიაღისეული საწვავის საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 16 მაისს (წერილი N4828) წარმოდგენილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულევში შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოსა და წიაღისეული საწვავის საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N270/ს 27/05/24) შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გერგილის“ მიერ.

2023 წელს შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულევში ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N40; ბრძანება N733/ს 22.12.2023).

ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულევში შპს „ფაზის ოილის“ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, 2019 წლის 18 იანვარს, გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-47). გამომდინარე იქიდან, რომ საპროექტო ინფრასტრუქტურა თანხვედრაშია შპს „ფაზის ოილის“ საპროექტო ინფრასტრუქტურასთან, სკოპინგის ეტაპზე, აღნიშნულთან დაკავშირებით ეცნობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ცნობით, ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყულევში (ს/კ N45.15.22.020), ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის ნებართვა, შპს „ფაზის ოილზე“ გაცემული არ არის. ამასთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, „ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 სექტემბრის N376 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 მარტის N102 დადგენილებისა და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ რიგ ღონისძიებათა

განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 თებერვლის N336 განკარგულების საფუძველზე, შეწყვეტილია „საქართველოს მთავრობასა და შპს „SOCAR GEORGIA INVESTMENTS“-ს (უფლებამონაცვლე: შპს „ფაზის ოილი“) შორის გაფორმებული 2012 წლის 18 სექტემბრის „ყუღევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (ყუღევის თიზი) შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთვალდებულებათა შესახებ“ ხელშეკრულება.

2023 წლის 2 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუღევი, სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა სამშენებლო/მოსამზადებელი სამუშაოები, რის შესახებაც ეცნობა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2023 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ მიმართ შედგა №085130 ოქმი, რომელიც გადაგზავნილ იქნა ხობის მაგისტრატ სასამართლოში. 2024 წლის 4 ივლისს ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუღევი, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ ტერიტორიაზე კვლავ მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, რაც კვლავ ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ მიერ 2024 წლის 18 ივლისს (N7339 განცხადება) სააგენტოში წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებით დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის საპროექტო ტერიტორიის დაზუსტებული გენ-გეგმა, კორექტირებული Shp ფაილები და მიწის საკუთრებასთან/სარგებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. გარდა ამისა, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/8642), შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ მიერ კვლავ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებით დამატებითი დოკუმენტაცია (წერილი N9130). კერძოდ: ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორიების საკუთრებასთან/სარგებლობასთან დაკავშირებით; საკვლევ უბანზე გაბურღული ჭაბურღილების რაოდენობის დაზუსტება; საპროექტო ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე) სეისმურობის, გრანულომეტრიის და წყალგაჯერებულობის მიხედვით გათხევადების რისკის საკითხი; ტექნიკური წყლის აღების საკითხი (აღებული წყლის რაოდენობა) და სხვა. ასევე წარმოდგენილ იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის (ბრძანება N516/ს 16.09.2024) მიერ, განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოსა და წიაღისეული საწვავის საცავის მოწყობა დაგეგმილია ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუღევი, შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ საკუთრებაში მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 45.15.22.020), რომლის ფართობია 599970 მ². საწარმოს დამხმარე წყალაღებისა და წყალჩაშვების, მათ შორის გზის საპროექტო ინფრასტრუქტურა განთავსდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, საიდანაც ნაწილით (ს/კ 45.15.22.061; 45.15.22.060; 45.15.22.059; 45.15.22.057; 45.15.22.058) შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ სარგებლობს სერვიტუტის უფლებით, ხოლო ნაწილზე (ს/კ 45.15.22.053; 45.15.22.048; 45.15.22.054; 45.15.22.052; 45.15.22.051; 45.15.22.050; 45.15.22.049; 45.15.22.126; 45.15.22.125; 45.15.22.124; 45.15.22.123; 45.15.22.122; 45.15.22.121) გაცემულია სპეციალური სარგებლობის უფლება 5 წლის ვადით.

საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს მდ. ცივა (1,7 კმ-ის დაშორებით) და მდ. ხობი (4,2 კმ-ის დაშორებით), ხოლო აღმოსავლეთიდან ციას არხი (1,8 კმ-ის დაშორებით), რომელიც უერთდება მდ. ცივას. საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1.2 კმ-ში მდებარეობს „ფართო წყლის ტბა“ და უსახელო ტბა (770 მ-ს დაშორებით), ხოლო სამხრეთით, დაახლოებით 1.4 კმ-ში მდებარეობს მდ. რიონი. საპროექტო ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან 450 მეტრში ესაზღვრება შავი ზღვა. საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით 140 მ-ში მდებარეობს „ჭალადიდი-ყულევის“ ტერმინალის სარკინიგზო ხაზი (ს/კ 45.00.101) და მის პარალელურად გამავალი გრუნტის საავტომობილო გზა, რომელიც უერთდება სახელმწიფო მნიშვნელობის ს-2 (სენაკი-ფოთი-სარგის) გზას. აღნიშნული გზა საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 120 მ-ის მანძილით. ასევე საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით 130 მეტრის დაშორებით მდებარეობს სარკინიგზო ხაზის ბუფერი (ს/კ: 45.15.22.021). საპროექტო ტერიტორიიდან 3 კმ-ში მდებარეობს შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ (ს/კ 45.15.21.065) წიაღისეული საწვავის საცავი (ყულევის ნავთობტერმინალი), 1.8 კმ-ში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთრებაში არსებული ქ. ფოთის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა (ს/კ 45.15.01.600). უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით - 2,76 კმ-ის მანძილის დაშორებით. საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით 280 მ-ში და დასავლეთით 180 მ-ში მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკი, რომელიც ასევე ემთხვევა ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის შესაბამისად შექმნილ ზურმუხტის ქსელის საიტს (კოლხეთი - GE0000006) და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ კონვენციის (რამსარის) ტერიტორიას, ასევე ფრინველთა მნიშვნელოვან ტერიტორიებს (IBA) და ფრინველთა სპეციალურ დაცულ ტერიტორიებს (SPA).

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია არაქმედების ალტერნატივა, საწარმოს განთავსების ალტერნატივა და ტექნოლოგიური ალტერნატივები, ასევე ნავთობის მიღებისთვის განკუთვნილი სარკინიგზო ხაზის დერეფნის ალტერნატიული ვარიანტები. დაგეგმილი საქმიანობის არაქმედების ალტერნატივა უარყოფილია სოციო-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით. გზშ-ის ანგარიშში განხილულია საპროექტო ობიექტის განთავსების სამი ალტერნატიული ვარიანტი: 1) ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორია; 2) ქ. ფოთის ჩრდილოეთით, მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში (ამჟამად შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ კუთვნილი ტერიტორია); 3) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყალწმინდასთან, მდ. სუფსის მარცხენა სანაპიროზე, სუფსის ტერმინალის სიახლოვეს. წარმოდგენილი ინფორმაციით, ალტერნატიული ვარიანტების შედარების საფუძველზე, მათ შორის ფიზიკური და ეკონომიკური განსახლების, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სიახლოვის, დასახლებული პუნქტებისა და საკურორტო ზონების დაშორების მანძილების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა მე-2 ალტერნატიულ ვარიანტს. ნავთობის გადამამუშავების მიმართულება განისაზღვრება ნავთობის ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებით და სასაქონლო პროდუქტებზე მოთხოვნილებით. ტექნოლოგიურ ალტერნატივებში, სასაქონლო პროდუქციის მოთხოვნილებიდან ეკონომიკური და გარემოსდაცვითი უპირატესობების გათვალისწინებით, შერჩეულ იქნა საწვავის გადამამუშავების ისეთი ტექნოლოგია, რომლის ფარგლებში რთულ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს ადგილი არ ექნება და ამასთან, მისაღები პროდუქციის სახეობრივი სიმცირიდან გამომდინარე ტექნოლოგია ნაკლებად იქნება დაკავშირებული სახიფათო ნარჩენების წარმოქმნასთან, ასევე სხვა ტექნოლოგიური ვარიანტებისგან განსხვავებით, შემცირებულია ავარიული სიტუაციების წარმოქმნის შესაძლებლობა. საპროექტო საწარმოს ტერიტორიამდე მისასვლელი სარკინიგზო ჩიხის დაპროექტებისას განიხილებოდა სამი ალტერნატიული ვარიანტი: 1) დაგეგმილი ქარხნის ტერიტორიაზე რკინიგზის შეყვანა ჩრდილოეთის მხრიდან, ე.წ. მცირე რადიუსის „მარყუჯით“; 2)

დაგეგმილი ქარხნის ტერიტორიაზე რკინიგზის შეყვანა ჩრდილოეთის მხრიდან, დიდი რადიუსის „მარყუჟით“; 3) საწარმოს ტერიტორიაზე რკინიგზის შეყვანას სამხრეთის მხრიდან, ე.წ. „მარყუჟის“ გარეშე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხების ურთიერთშედარების საფუძველზე, უპირატესობა მიენიჭა სარკინიგზო ხაზის მეორე ალტერნატიულ ვარიანტს.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს საწარმოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტის საშუალებით ნედლი ნავთობის შემოტანას, დასაწყობებას და შემდგომ მის სხვადასხვა ფრაქციის ნავთობპროდუქტებად გადამუშავებას. პროდუქციის დროებით შენახვა მოხდება სარეზერვუარო პარკებში, ხოლო საბოლოოდ გადამუშავებული ნავთობპროდუქტები, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ჩაიტვირთება სატრანსპორტო საშუალებებში (სარკინიგზო და საავტომობილო) და გატანილი იქნება ტერიტორიიდან.

ანგარიშის მიხედვით, ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნის წარმადობა პირველ ეტაპზე იქნება 1121000 ტ. წელიწადში, რისთვისაც მოეწყობა 89000 მ³ ჯამური მოცულობის სარეზერვუარო პარკი. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა დაყოფილია 6 ეტაპად, ხოლო ანგარიშში განხილულია პირველი ეტაპი, რომლის დროსაც აშენდება ქარხნის ძირითადი ინფრასტრუქტურა და გაეშვება ექსპლუატაციაში.

პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია შემდეგი ობიექტების მოწყობა: ნავთობის სავაჭრო პარკი; კომპონენტების სავაჭრო პარკები (დს N1 და დს N2); გადმოტვირთვა-ჩატვირთვის ესტაკადის სატუმბო; ნავთობის და დს-ის სავაჭრო სატუმბო; ზოგადი ქარხნული მილსადენების (ზქმ) საკონტროლიორო გაზის გამანაწილებელი პუნქტი; ორთქლის რეკუპერაციის დანადგარი; ზოგადი ქარხნული მილსადენები და ორთქლსადენები; გაზომმარაგების ქსელები; სარემონტო-მექანიკური საამქრო; ცენტრალური საოპერატორო დარბაზი; საყოფაცხოვრებო კორპუსი სასადილოთი; ცენტრალური საქარხნო ლაბორატორია; საარბიტრაჟო სინჯების საწყობი; ცენტრალური გასასვლელი და საკონტროლო გამშვები პუნქტი 1 - სგპ 1; საკონტროლო-გამშვები პუნქტი 2-სგპ 2; საკონტროლო-გამშვები პუნქტი 3 (რკინიგზის)-სგპ 3; სახანძრო საწყობი; გაზის სამაშველო სადგური; ავტოფარეხი; გამანაწილებელ-სატრანსფორმატორო ქვესადგური N1; საკონტროლო გამანაწილებელი სატრანსფორმატორო ქვესადგური (გსფ); სატრანსფორმატორო ქვესადგური N3 და N4; საწარმოო საქვაბე; ელექტროგანათება მოედნის შიგნით; ქარხნის შიდა ავტოგზები; ქარხნის შიდა რკინიგზის ლიანდაგი; რკინიგზის გადმოტვირთვა-ჩატვირთვის ესტაკადა N1; ნავთობპროდუქტების ავტოჩატვირთვა; კავშირის და სიგნალიზაციის მოედნის შიდა ქსელები; გამწმენდი ნაგებობები წყლის მომზადების ბლოკით; ხანძრის ჩაქრობის სატუმბო წყლის ბლოკი; საკანალიზაციო სატუმბი სადგურები (კნს N1, კნს N2 და კნს N3); ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის ქსელი; სანიაღვრე კანალიზაციის ქსელი; მარილშემცველი წყლების კანალიზაციის ქსელი; ტექნიკური წყლის ქსელი; საყოფაცხოვრებო კანალიზაციის ქსელი; სასმელ-სამეურნეო წყალსადენის ქსელი; მოედნის გარეთა გაზსადენი; გარეთა ელექტრომომარაგება; მისასვლელი გარეთა რკინიგზის ლიანდაგი; ავტოგზები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტზე ნავთობის და ნავთობპროდუქტების შესანახად მოეწყობა 6 სარეზერვუარო პარკი, რომლის შემადგენლობაში შევა ჯამურად 21 რეზერვუარი. პირველ ეტაპზე ნედლი ნავთობის შესანახად გამოიყენება 4 რეზერვუარი (თითოეული - 5000 მ³ მოცულობის, ჯამური მოცულობა - 20000 მ³). ნავტას შესანახად - 4 რეზერვუარი (თითოეულის ტევადობა - 5000 მ³, ჯამური მოცულობა 20000 მ³). ბენზინის კომპონენტების მიღების, წარმოების, შენახვისა და გადაზიდვისთვის - 4 რეზერვუარი (თითოეულის ტევადობა - 1000 მ³, ჯამური მოცულობა - 4000 მ³). ასევე მოეწყობა 4 რეზერვუარი (თითოეულის ტევადობა - 5000 მ³, ჯამური მოცულობა - 20000 მ³), საიდანაც 2

რეზერვუარი განკუთვნილია მსუბუქი (მგვ) და ფართო (ფგვ) გაზოილის ფრაქციების შესანახად, ხოლო 2 რეზერვუარი - საშუალო (სგვ) და ფართო (ფგვ) გაზოილის ფრაქციის შესანახად. ვაკუუმური დიზელის საწვავის კომპონენტის მიღების, შენახვისა და გადაზიდვისათვის იქნება 2 ავზი (თითოეული მოცულობით 5000 მ³; ჯამურად 10000 მ³). ბიტუმისთვის განკუთვნილია 3 ავზი (თითოეულის ტევადობა - 5000 მ³, ჯამური მოცულობა - 15000 მ³), საიდანაც ერთი საავარიო ფუნქციას ასრულებს. ავზები აღჭურვილია გუმბათის ტიპის შიდა გათბობის მოწყობილობით. ნავთობპროდუქტების ორთქლის გარემოში გამოყოფის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, თითოეულ ავზს ექნება სუნთქვის სარქველი. ავზები აღჭურვილი იქნება მიმღები და გამანაწილებელი მოწყობილობებით (შევსების და დაცლის შესაძლებლობისთვის), დონის და ტემპერატურის კონტროლის, ასევე სინჯის აღების მოწყობილობებით და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით.

ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი იწყება ტერიტორიაზე ნედლეულის შემოტანით რკინიგზის ჩიხიდან. ნავთობპროდუქტების გადაზიდვა განხორციელდება რკინიგზის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის NI ესტაკადაზე, ნავთობის და დიზელის საწვავის სატუმბო სადგურში დამონტაჟებული ტუმბოს მეშვეობით. ნავთობის/მსუბუქი გაზის ნავთობის სარეზერვუარო პარკის ყველა შესასვლელი და გამოსასვლელი კოლექტორი აღჭურვილი იქნება ელექტრო სარქველებით, რომლებიც იმართება ადგილობრივი და დისტანციური მართვის საშუალებით ოპერატორის ოთახიდან. სატუმბო სადგურის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ესტაკადა განკუთვნილი იქნება რკინიგზის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ესტაკადის ავზებიდან ნავთობისა და მაზუთის მისაღებად. ღია ტიპის სატუმბო განთავსდება 36×9×7,6მ გაბარიტების ბეტონის მოედანზე. ტუმბოები აღჭურვილი იქნება ორმაგი მექანიკური დალუქვით.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში მოეწყობა ცენტრალური ქარხნის ლაბორატორია, წარმოებული ნედლეულის, ძირითადი ტექნოლოგიური, შუალედური პროდუქტებისა და მზა პროდუქციის ხარისხის გასაკონტროლებლად და ანალიზების შესასრულებლად. ასევე, გათვალისწინებულია სამრეწველო საქვების მშენებლობა ქარხნის შესაბამისი ობიექტების საშუალო წნევის წყლის ორთქლით მოსამარაგებლად. სამრეწველო საქვაზე წარმოადგენს თბოენერგიით უზრუნველყოფის ძირითად წყაროს. საქვების ბლოკში შევა: მკვებავი წყლის მიღების კვანძი, ორთქლის მიღების კვანძი, თბოფიკაციური წყლის მიღების კვანძი. პროექტით გათვალისწინებულია სამეურნეო აღრიცხვის კვანძების მოწყობა კოლექტორებზე. საქვების მიერ წარმოებული საშუალო წნევის წყლის ორთქლი მიემართება ქარხნის დანადგარების ტექნიკურ საჭიროებებზე, მოწყობილობების და მილსადენების გათბობაზე, ღუმელების ორთქლის ფარდაზე და მოწყობილობების და მილსადენების საწმენდად.

ჩატვირთვა-გადმოტვირთვის NI ესტაკადაზე განთავსებული იქნება ნავთობის ქვედა ჩამოსხმის 50 დგარი მაზუთის ჰიდრომონიტორინგით, ნათელი და მუქი ნავთობპროდუქტების ზედა ჩატვირთვის 50 (თითოსთვის 25-25) დგარი და მაზუთის ზედა ჩატვირთვის 50 დგარი. პროდუქტის ჩასატვირთი დგარები აღჭურვილი იქნება ელექტრომაგნიტური სარქველ-შემზღუდველებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომატურ შეწყვეტას მათი ავსების შესაბამისად. ნავთობპროდუქტების ჩატვირთვის შემდეგ დგარი დაუბრუნდება საფარეხე მდგომარეობას.

ატმოსფერულ-ვაკუუმური გამოხდის (ავგ) დანადგარი განკუთვნილია Siberian Light ნავთობის (მსუბუქი დაბალგოგირდოვანი ნავთობი) და URALS ნავთობის (მძიმე გოგირდოვანი ნავთობი) გადასამუშავებლად.

ატმოსფერული გამოხდისთვის გათვალისწინებულია თბოცვლის ეფექტური სისტემა, რომელიც იძლევა ღუმელებში საწვავის მოხმარების, გამომავალი პროდუქტების დამატებითი გაგრილებისთვის წყლისა და ელექტროენერგიის მოხმარების შემცირების შესაძლებლობას. თბოცვლა ორგანიზებულია მაღალი

სიჩქარის შენარჩუნებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული აპარატების გაჭედვა და დაკოქსვა. თბოცვლის დროს ნავთობის გახურება ხორციელდება სვეტების ცირკულაციური მორწყვის სითბოსა და გამომავალი პროდუქტების სითბოს გამოყენებით. ნავთობის ატმოსფერული გამოხდა ხორციელდება ორსვეტიანი სქემის მიხედვით. ორსვეტიანი სქემის მიხედვით, მუშაობა ხელს უწყობს ღუმელზე სითბური დატვირთვის შემცირებას და სანედლეულე ტუმბოს დაჭირხნის წნევის შემცირებას საანგარიშო წნევისა და აღჭურვილობის წონების შესაბამისი შემცირებისთვის.

ნედლი ნავთობი სარეზერვუარო საცავიდან H-6A/B ტიპის ტუმბოების გამოყენებით, მიეწოდება ავგ-1 დანადგარს და იგზავნება თბოცვლის ბლოკში, სადაც ხდება მისი გახურება პროდუქტის ნაკადების სითბოს რეკუპერაციის ხარჯზე. ნავთობში ემატება ME-102 დეემულგატორი და შერევა ხდება CM-105-ის ტიპის შემრევი მოწყობილობით. თბოცვლამდე ნავთობი იყოფა ორ ნაკადად. ნავთობის პირველი ნაკადი თავდაპირველად შედის T-101 თბომცვლელში, სადაც ხდება მისი გახურება T-110 თბომცვლელიდან მიწოდებული მძიმე გაზოილის ფრაქციის სითბოს ხარჯზე. შემდეგ ნავთობის პირველი ნაკადი მიიმართება T-102A/B თბომცვლელში, სადაც ხდება მისი გახურება K-102 ატმოსფერული სვეტის პირველი ცირკულაციური მორწყვის სითბოს ხარჯზე. T-102A/B თბომცვლელის შემდეგ ნავთობის პირველი ნაკადი შემოდის T-103A/B თბომცვლელში, სადაც ხდება მისი გახურება H-107A/B ტუმბოდან აპარატში მიწოდებული საშუალო გაზოილის ფრაქციის სითბოს ხარჯზე. წყალნავთობის ემულსიის განცალკევება უზრუნველყოფილია „Decleave“ მარკის OR-1626 თანამედროვე მაღალეფექტიანი ნავთობხსნადი დეემულგატორების ან ანალოგის გამოყენებით. ნედლი ნავთობი (100 მგ/ლ-მდე ქლორიდებისა და 0,5%-მდე წყლის შემცველობით) თანმიმდევრულად მიეწოდება Ξ D-101, Ξ D-102 ელექტროდეჰიდრატორებს. გასუფთავებული ნავთობი შედის ავგ-1 დანადგარის პირველ ბლოკში განბენზინების K-101 სვეტში, რომლისგანაც მიიღება პირველადი გამოხდის ბენზინი (ნაფტა). K-102 ატმოსფერული სვეტი განკუთვნილია განბენზინებული ნავთობის დასაშლელად ვიწრო ფრაქციებად: ბენზინის ფრაქცია (ნაფტა); მსუბუქი გაზოილის ფრაქცია; საშუალო გაზოილის ფრაქცია; მძიმე გაზოილის ფრაქცია; მაზუთი. საჭირო ხარისხის პროდუქციის მისაღებად, გამოიყენება სტრიპინგ სვეტები და ცირკულაციური მორწყვა. II-101 ღუმელში 370-375°C ტემპერატურამდე გახურებული ნედლეული მიეწოდება K-102 სვეტის ქვედა ნაწილში ორი ტრანსფერული ხაზით. ნაკადის გაგრილების შემდეგ, K-102 სვეტის ბენზინის ფრაქცია (ნაფტა) ერთიანდება K-101 სვეტის ბენზინის ფრაქციასთან (ნაფტა) და ჩაედინება სარეზერვუარო პარკში. მსუბუქი გაზოილის ფრაქცია K-102 სვეტის მე-6 ფირფიტიდან მიედინება K-102/1 სტრიპინგის ზედა ფირფიტაზე. დონე K-102/1 სტრიპინგში რეგულირდება სარქველის გამოყენებით, რომელიც დამონტაჟებულია ფრაქციის K-102 სვეტიდან K-102/1-ის სტრიპინგში გადადინების ხაზზე. მძიმე გაზოილის ფრაქციაში (მგვ) დოზირების ME-104 ბლოკის და მაზუთში დეპრესორული მისართის ME-109 დოზირების ბლოკის საშუალებით გათვალისწინებულია დეპრესორულ-დისპერგირებადი მისართის დამატება.

უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების შესაბამისად, ავგ-1 დანადგარის ტექნოლოგიური სქემა დაყოფილია ცალკეულ ტექნოლოგიურ ბლოკებად, რაც უზრუნველყოფს თითოეული ბლოკისთვის ფეთქებასაშიშროების მინიმალურ დონეს. საჭირო ხარისხის პროდუქტის შენარჩუნებისთვის გათვალისწინებულია ნედლეულისა და საბოლოო პროდუქციის სინჯების აღება. ლაბორატორიული კონტროლისთვის სინჯების აღება ხორციელდება გადასატანი სინჯის აღების მოწყობილობების გამოყენებით. სინჯის აღების კვანძები განთავსებულია სათავსების გარეთ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ხაზი მოეწყობა ჩრდილოეთის მხრიდან, სიგრძით დაახლოებით 1,6 კმ. სარკინიგზო ესტაკადა განთავსდება ქარხნის ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში, ხოლო ძირითადი ოპერაციული ინფრასტრუქტურა - აღმოსავლეთის

და სამხრეთის მხარეს. მიწის ვაკისის მოწყობა მოხდება მიწის სამუშაოების პროცესში, რაც გულისხმობს მიწის ნიველირებას (გათანაბრებას) და დატკეპნას. წარმოდგენილი ტერიტორიის რელიეფური პირობების მიხედვით, რკინიგზის ვაკისის მოწყობის სამუშაოები არ იქნება მასშტაბური. რკინიგზის ვაკისის მოწყობის შემდგომ შესრულდება ე.წ. სალიანდაგო სამუშაოები, რაც მოიცავს სარკინიგზო ხაზის ზედა სტრუქტურული ელემენტების (შპალები, რელსები) მონტაჟს. გარდა ამისა, დაზუსტებული ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად მოეწყობა ჩრდილოეთით 352 მ სიგრძის გზა. გზის საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატებია: 1) X-718586.987, Y-4679116.243; 2) X-718242.440, Y-4679110.893.

ნავთობგადამამუშავებელი საწარმოსა და წიაღისეული საწვავის საცავის სამშენებლო სამუშაოების საერთო ხანგრძლივობა შეადგენს 3-4 წელიწადს. მშენებლობის ეტაპზე დასაქმდება 40-50 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე - 80-90 ადამიანი, რომელთა შორის უმეტესობა იქნება ადგილობრივი მოსახლეობა.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის ფარგლებში მოხდა ტერიტორიის გაწმენდა მცენარეული საფარისგან, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობება, შიდა გზების გაყვანა და დაჭაობებული ტერიტორიების დრენირება, ასევე ტერიტორიის შევსება სამშენებლო მასალებით. ტერიტორიაზე შესრულებულია რეზერვუარების, ტექნოლოგიური მილგაყვანილობის, საწარმოო საქვების, გამწმენდი ნაგებობებისა და ხანძარსაქრობი სატუმბოს საძირკვლის სამუშაოები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 12556.2 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება. საპროექტო ტერიტორიაზე მოსახსნელი ნაყოფიერი ფენის საშუალო სიღრმე შეადგენს 10 სმ-ს. გროვების სახით დასაწყობებული მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დაცული იქნება წყლისმიერი და ქარისმიერი ზემოქმედებისგან. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება სამშენებლო მოედნის სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის და დასაწყობების სამუშაოების განხორციელება გათვალისწინებულია „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. მშენებლობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წელიწადში გამოყენებული იქნება 437.5 მ³ წყალი, ხოლო ტექნიკური დანიშნულებით წყლის გამოყენება დაგეგმილია ბეტონის წარმოებისათვის. ტერიტორიაზე დაგეგმილია მცირე წარმადობის (100 მ³/დღეში) ბეტონის შემრევი დანადგარის გამოყენება. ბეტონის დანადგარი იმუშავებს წელიწადში 150 დღე, რისთვისაც წელიწადში გამოიყენება 4500 მ³ (30 მ³/დღე) წყალი. ექსპლუატაციის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგება განხორციელდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ადგილობრივი სამსახურის მიერ. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წელიწადში გამოყენებული იქნება 618.75 მ³ წყალი. ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოო დანიშნულების წყალი გამოყენებული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვის, რეზერვუარების და სხვა ტექნოლოგიური დანადგარების რეცხვისათვის, მწვანე ნარგავების მოსარწყავად, ტერიტორიების მოსარეცხად და სხვა. ტექნიკური დანიშნულებით მდ. რიონიდან მოხდება საათში 60 მ³ წყლის (500 მ³/დღე; 125000 მ³/წელი) აღება (წყალაღების წერტილის GPS კოორდინატია: X-719829; Y-4675301), თვითშემწოვი-ცენტრიფუგული ტიპის არაუმეტეს 222 მ³/სთ წარმადობის ტუმბოთი. წყლის დაგროვება მოხდება წყალაღების მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე განთავსებულ 400 მ³ სამარაგო

რეზერვუარში, რის შემდგომაც ხდება მისი 4081 მ სიგრძის მილსადენით საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ 1800 მ³ მოცულობის რეზერვუარში გადატუმბვა. სახანძრო წყალმომარაგებისთვის გათვალისწინებულია 500 მ³ მოცულობის სამი რეზერვუარის გამოყენება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება ჰერმეტიკულ რეზერვუარში და შემდგომ საასენიზაციო მანქანის მეშვეობით გატანილი იქნება მუდმივი განთავსების ადგილზე. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და არინების სქემის შესაბამისად, გათვალისწინებულია საწარმოო-სანიაღვრე და მარილშემცველი ჩამდინარე წყლების კანალიზაციის განცალკევებული სისტემები. საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლებისთვის, რომლებიც ექვემდებარება სავალდებულო გაწმენდას, გათვალისწინებულია გამწმენდი ნაგებობების მოწყობა. გამწმენდი ნაგებობების გამოყენება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გასაწმენდად და მათგან ტექნიკური, ქიმიურად გაწმენდილი და დემინერალიზებული წყლის მისაღებად საწარმოო საჭიროებისთვის. საწარმო აღჭურვილი იქნება ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ჩამდინარე წყლების რაოდენობას. საწარმოო ჩამდინარე წყლები პოტენციურად დაბინძურებულ სანიაღვრე წყლებთან ერთად, რომელთა რაოდენობა შეადგენს 30 მ³/სთ-ს, შესაბამისი გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება შავ ზღვაში. წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატია: X-717236; Y-4683423. გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელია, როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საწარმოში დანერგილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი. სამშენებლო მოედანზე განთავსდება კონტეინერები სხვადასხვა სახეობის ნარჩენისთვის შესაბამისი ეტიკეტით. სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის სამშენებლო მოედნებზე განთავსდება სპეციალური მარკირების მქონე ჰერმეტიკული კონტეინერები. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო მასალები და კონსტრუქციების დიდი ნაწილი შემოტანილი იქნება შესაბამისი რაოდენობითა და მზა სახით. დოკუმენტაციის მიხედვით, გათვალისწინებულია ნარჩენების შეძლებისდაგვარად ხელმეორედ გამოყენება (მაგ. ლითონის კონსტრუქციები და ინერტული ნარჩენი). საქმიანობის განხორციელებისას წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები ხელშეკრულების საფუძველზე დაუბრუნდება მწარმოებელს შემდგომი დამუშავება/აღდგენის მიზნით ან/და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შპს „ბლექსი 2013“-ს. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება სპეციალური მარკირების მქონე კონტეინერებში, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით მოხდება მათი ნაგავსაყრელზე გატანა ან/და ადგილობრივი დასუფთავების კომპანიისთვის გადაცემა. წარმოქმნილი ჯართი ჩაბარდება შესაბამის მიმღებ პუნქტებს, ხოლო პლასტმასის ნარჩენი გადაეცემა გადამუშავების ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმიანობის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის თავებში წარმოდგენილია საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას საწარმოდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე და არც უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (2,76 კმ) მიმართებით. საკონტროლო წერტილებში მიღებული შედეგების გათვალისწინებით მაქსიმალური კონცენტრაციის წილობრივი მაჩვენებლების შესაბამისად (მაქსიმალური კონცენტრაცია ზდკ-წილი 0,4 მგ/მ³) საკურორტო ზონების და

დაცული ტერიტორიების გარემოებების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს მეტად მკაცრი ზღვრული მნიშვნელობის დაწესებას საკონტროლო წერტილებში (1 მნიშვნელობა იცვლება 0,8 მნიშვნელობით, 20%-ით უფრო მკაცრი) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება. მშენებლობის ეტაპზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელია სამშენებლო ტექნიკა-დანადგარების მუშაობით, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე ძირითად წყაროებს წარმოადგენს აირტურბინული დანადგარები, სარკინიგზო და საავტომობილო ესტაკადები, სატუმბი სადგურები, სავენტილაციო სისტემები და სხვა. ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგების მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე ტერიტორიის პერიმეტრის საზღვარზე ხმაურის დონე იქნება დაახლოებით 30-39 დბა, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 40 დბა-ს მიაღწევს. გაანგარიშების მიხედვით, ტერიტორიის აღმოსავლეთით, დაცული ტერიტორიის საზღვრის სიახლოვეს ხმაურის დონემ შეიძლება შეადგინოს 35 დბა (მშენებლობის ეტაპზე) და 32 დბა (ექსპლუატაციის ეტაპზე). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების (2,76 კმ) გათვალისწინებით, ხმაურის დონე არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს, როგორც საწარმოს მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებისთვის. ამასთან, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების მიზნით, განხორციელდა მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის და მთლიანი უბნის ვიზუალური დათვალიერება. ამასთან, საკვლევი ტერიტორიის ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად გაიბურღა 16 ჭაბურღილი, 27 მ სიღრმემდე. ჭაბურღილებიდან მიღებული მონაცემების ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე გამოიყო 3 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე): სგე 1 - ქვიშა, მოყავისფრო - რუხი, მტვროვანი, ფხვიერი, არაერთგვაროვანი, თიხაქვიშის და იშვიათად ტორფის ლინზებით (5-20სმ), წყალგაჯერებული; სგე 2 - ქვიშა, რუხი, მტვროვანი, ფხვიერი, არაერთგვაროვანი, წყალგაჯერებული, ნიჟარის 15-20%-მდე და იშვიათად ხრემის ჩანართებით, თიხნარის თხელი შუაშრეებით და ლინზებით; სგე 3 - თიხაქვიშა, ლურჯი-რუხი, პლასტიკური, ნიჟარის ჩანართებით 5-10%-მდე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით საკვლევი უბანი მიეკუთვნება III კატეგორიას.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ქარხნის მშენებლობისთვის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ტერიტორიის გარკვეული უბნების დაჭაობება (მშენებლობის ხელისშემშლელი სხვა პროცესები არ ფიქსირდება). სწორედ არსებული მდგომარეობის გამო მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპროექტო ობიექტების დაფუძნება მოხდეს შესაბამისი (თანამედროვე) ტექნოლოგიის გამოყენებით. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, ქარხნის ინფრასტრუქტურა განლაგდება მიწის არსებული დონიდან 2-3 მ სიმაღლის რკინა-ბეტონის პლატფორმაზე, მაღალი გამძლეობის ხიმინჯებით.

დარაიონების სქემის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორია შედის კოლხეთის არტეზიული აუზის დასავლეთ ნაწილში. საკვლევი რაიონში გავრცელებულია: მდ. ხობისწყლისა და მდ. რიონის დინების ქვემო წელის თანამედროვე ალუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი; ზღვის სანაპირო ზოლის თანამედროვე ზღვიური და ალუვიური წარმონაქმნების წყალშემცველი ჰორიზონტი; თანამედროვე ზღვიური და ტბა-ჭაობიანი ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი. გეოტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია საქართველოს ბელტის დასავლეთი დამირვის კოლხეთის ქვეზონაში შედის. წყალჩამშვები მილის მონაკვეთი გადის სანაპირო ზოლის სიახლოვეს, რომელიც არასტაბილური უბანია. კერძოდ, ზღვის შტორმული სიძლიერისა და მიმართულების ცვლილებების მიხედვით, ხდება ნაპირის წარეცხვა ან ზრდა, თუმცა აღნიშნულ ტერიტორიაზე, წინა წლებში აგებულმა

დამცავმა გარკვეულ წილად დაასტაბილურა უშუალოდ შესართავთან მიმდებარე სანაპირო. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნულ პროცესებზე გაგრძელდეს მონიტორინგი.

გზშ-ის ანგარიში მოიცავს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბიოლოგიური გარემოს შეფასებას, სამშენებლო სამუშაოების ჩატარებით გამოწვეული ზემოქმედების ანალიზს და შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს. გზშ-ის ანგარიში, ასევე მოიცავს ინფორმაციას სენსიტიური ჰაბიტატების და სახეობების, მათ შორის წითელი ნუსხით დაცული, ენდემური, რელიქტური და სხვა იშვიათი სახეობის შესახებ. კვლევები ჩატარებულია ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევისას ყურადღება გამახვილებულ იქნა დაცულ ტერიტორიებზე, კერძოდ კოლხეთის ეროვნული პარკის, ზურმუხტის ქსელის ტერიტორიის (Kolkheti - GE0000006), რამსარის ტერიტორიებისა და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების (SPA, IBA) ჰაბიტატებსა და დასაცავ სახეობებზე. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, კვლევა მოიცავდა საპროექტო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ ფლორისტული და ფაუნისტური გარემოს სავსე ინვენტარიზაციის მონაცემებს და არსებული ბიოლოგიური გარემოს ეკოლოგიურ შეფასებას. პროექტის განხორციელებით ცოცხალ ორგანიზმებზე და ბუნებრივ ჰაბიტატებზე ზემოქმედების ხარისხის ანალიზს. გზშ-ის ანგარიშში განხილული იქნა საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციით საპროექტო ტერიტორიისა და მის მიმდებარედ არსებულ მცენარეთა და ცხოველთა, მათ შორის ორნითოფაუნასა და იქითოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.

არსებული მდგომარეობით პროექტის არეალის ცენტრალურ ნაწილში არსებული ჭარბტენიანი ჰაბიტატები დამშრალია და ამოვსებულია ინერტული მასალით, ასევე განხორციელდა ჭაობების ამოშრობა და ტერიტორიის ხე-მცენარეულობისგან გაწმენდა.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, წარმოდგენილი შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ საპროექტო არეალის ნაწილი - 4803 კვ.მ ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, კოლხეთის სატყეო უბნის ფოთის სატყეოს N1 კვარტალს. გარდა ამისა, სახელმწიფო ტყეში მდებარე 4803 კვ.მ ფართობი ზედდება მია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ 2023 წლის 5 ოქტომბრის N2457/ს და 2024 წლის 12 თებერვლის N101/ს ბრძანებებით შპს „ბლექ სი პეტროლიუმზე“ გაცემულია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება 5 წლამდე ვადით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საკვლევი არეალი და მისი მიმდებარე ტერიტორია გამოირჩევა ფრინველთა მაღალი მრავალფეროვნებით, მათ შორის საკონსერვაციო სტატუსის მქონე, გლობალურად მოწყვლადი (GTBS) და საქართველოს „წითელ ნუსხით“ დაცული სახეობებით. ორნითოლოგიური კვლევები ჩატარდა წელიწადის ოთხივე სეზონზე. კვლევის შედეგად უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე დაფიქსირდა საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფრინველთა სამი სახეობა: თეთრკუდა ფსოვი (*Halaeetus albicilla*), ბუხრინწა (*Tyto alba*), დიდი მყივანი არწივი (*Aquila (Clanga) clanga*). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უშუალოდ საპროექტო არეალში არსებული მაღალი ანთროპოგენური ზემოქმედებიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე ბინადრობს ან ბუდობს დაფიქსირებული ფრინველთა სახეობების მხოლოდ მცირე ნაწილი. დანარჩენი სახეობები კი პროექტის არეალში ხვდებიან სეზონური მიგრაციების და ზამთრის პერიოდში ან შემთხვევით. ამასთან, საწარმოს მშენებლობისთვის ტერიტორიის მომზადების პროცესში მოხდა არსებული ჭარბტენიანი ჰაბიტატების დიდი ნაწილის დაკარგვა, რამაც საგრძნობლად შეამცირა წყალთან დაკავშირებული ფრინველების რაოდენობა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ფაუნის შესახებ, კონკრეტული სახეობების მითითებით. ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე აღინიშნება ცხოველთა რაოდენობრივი და სახეობრივი სიმცირე. საკვლევ ტერიტორიის შემოგარენში დაფიქსირდა ძუძუმწოვრების 8 სახეობა: მელა (*Vulpes vulpes*), კვერნა (*Martes martes*), წავი (*Lutra lutra*), ტურა (*Canis aureus*), ევროპული კურდღელი (*Lepus europaeus*), კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica*), ბუჩქნარის მემინდვრია (*Terricola majori*) და ძილგუდა (*Glis glis*). განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ წავზე (*Lutra lutra*). საკვლევ ტერიტორიის შემოგარენში ასევე დაფიქსირდა 7 სახეობის ქვეწარმავალი: წყლის ანკარა (*Natrix tessellata*), ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*), ართვინული ხვლიკი (*Darevskia derjugini*), მარდი ხვლიკი (*Lacerta agilis*), ტბორის ბაყაყი (*Pelophylax ridibundus*), ვასაკა (*Hyla arborea*) და მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis*). როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე უკვე განხორციელდა მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოები. არსებული ზემოქმედების შესაბამისად, ტერიტორია სრულიად სახეშეცვლილია და უშუალოდ სამშენებლო ტერიტორიაზე ფაუნის წარმომადგენლები აღარ ბინადრობენ. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ფაუნაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით (წერილი N17/2031), საპროექტო ტერიტორია არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. ასევე გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კვლევის შედეგების მიხედვით, პროექტის გავლენის ზონაში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დაფიქსირებული არ ყოფილა, შესაბამისად პროექტის როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით (წერილი N22/5807) ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულევში ნავთობგადამამუშავებელი საწარმოსა და წიაღისეული საწვავის საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის საპროექტო ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის საბადო და წიაღით სარგებლობის ლიცენზიები არ ფიქსირდება.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კუმულაციური ზემოქმედების კუთხით მნიშვნელოვანი ობიექტებია: შპს „შავი ზღვის ტერმინალი“, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, სოფ. ყულევში და ახორციელებს ნავთობის აზერბაიჯანიდან მიღებას, ტანკერებზე გადატვირთვას და საზღვაო ტრანსპორტით გაგზავნას; შპს „საქართველოს რკინიგზის“ ყულევის ტერმინალის სარკინიგზო ხაზი; ასევე შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ დაგეგმილი ქ. ფოთის საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაცია. მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები, ხმაურის გავრცელება, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მოსალოდნელია საპროექტო საწარმოსა და დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პერიოდის დამთხვევა, თუმცა, ვინაიდან, სამშენებლო მოედნებს შორის დაცილების მანძილი 2,3 კმ-ზე მეტია, კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება განხილულია შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ ნავთობ-ტერმინალისა და სარკინიგზო ხაზის გათვალისწინებით. საპროექტო ტერიტორიასა და არსებულ ობიექტს შორის დამორების მანძილის (აღმატება 3 კმ-ს) და ობიექტებზე გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიების (რეზერვუარებზე მცურავი სახურავები და გაზების ჰიდროგაწმენდის ბლოკში შეწოვის კომპრესორები, ნახშირწყალბადების ორთქლის რეკუპერაციის დანადგარები და სხვ.) გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერზე, ასევე ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებას, აღსანიშნავია, რომ ყულევის ნავთობ-ტერმინალის ტვირთების

გადაზიდვა ხორციელდება სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით. ტერმინალთან საავტომობილო მიმოსვლა ხორციელდება ჭალადიდი-ყულევი-ფოთის საავტომობილო გზის მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე გამავალი მონაკვეთით, რაც ძირითადად სცდება კუმულაციური ზემოქმედების სივრცით საზღვრებს. საწარმოს ოპერირების ეტაპზე ტრანსპორტირების ძირითადი საშუალება იქნება რკინიგზა. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სატრანსპორტო ნაკადებზე მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 4 ივლისს, ხობის მუნიციპალიტეტის, სოფ. ყულევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საკონსულტაციო კომპანია შპს „გერგილის“, შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ეხებოდა პროექტის განხორციელებით სოფლის მოსახლეობისთვის სოციალურ-ეკონომიკური სარგებელის მიღებას. კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ასევე ხაზი გაესვა ადგილობრივ ბიუჯეტში ქონების გადასახადს. საჯარო განხილვაზე გამოთქმული საკითხები ასახულია საჯარო განხილვის სხდომის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის 1.1 ქვეპუნქტისა, 29-ე პუნქტისა და II დანართის 9.1. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულევში შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოსა და წიაღისეული საწვავის საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის,

დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და გეგმების შესაბამისად;

4. **შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების განახლებული (გაწმენდი ნაგებობ(ებ)ის საპროექტო გაწმენდის მაჩვენებლების, პარამეტრებისა და ეფექტურობის დაზუსტების გათვალისწინებით) პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება;
5. **შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“** ორი წლის განმავლობაში უზრუნველყოს სანაპირო ზოლის პერიოდული მონიტორინგი და შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა, შესაბამისი შემარბილებელი/დამცავი ღონისძიებების დასახვა/განხორციელების მიზნით (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);
6. **შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება სარეკუპერაციო დანადგარის შესახებ ინფორმაცია (კონკრეტული მავნე ნივთიერებების მითითებით), ასევე კორექტირებული გენ. გეგმა მათ შორის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით. განახლებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის N408 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად საკურორტო ზონებში და დაცულ ტერიტორიებზე საქმიანობის დაგეგმვის და განხორციელების შემთხვევისთვის ზღვრულად დასაშვები კრიტერიუმის მნიშვნელობები, კერძოდ 1-ის ნაცვლად შეიცვალოს 0,8 მნიშვნელობით. სააგენტოსთან შეთანხმების შემდეგ, კომპანიამ უზრუნველყოს ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
7. **შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა და ჩამდინარე წყლების მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და შესათანხმებლად სააგენტოში წარმოდგენა, სადაც ასახული იქნება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები (მათ შორის მონიტორინგს დაქვემდებარებული მავნე ნივთიერებებისა და საკონტროლო წერტილებთან მონიტორინგის მეთოდის შესახებ), ხოლო გაწმენდილ ჩამდინარე წყლებში, დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩამონათვალი და მონიტორინგის სიხშირე. ამასთან, გეგმაში უნდა აისახოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 მარტის №413 დადგენილების თანახმად, საწარმოში უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის დანერგვის საკითხები (უწყვეტ ინსტრუმენტულ მონიტორინგს დაქვემდებარებული წყაროებისა და მავნე ნივთიერებების, ასევე, მონიტორინგის ხელსაწყოების შესახებ დეტალური ინფორმაციის ჩვენებით). მონიტორინგი უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
8. **შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს დაზუსტებული გენერალური გეგმის (დეტალური ექსპლიკაციის მათ შორის მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების ჩვენებით) სააგენტოსთან შეთანხმება;
9. **შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“** ძირითადი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულებამდე უზრუნველყოს გათხევადებულ გრუნტებზე კვლევის შედეგების სააგენტოში წარმოდგენა.

არანაკლებ 5 წლის განმავლობაში განახორციელოს მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

10. **შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“** გზშ-ის ანგარიშში მითითებული დაცული სახეობების გამოვლენის მიზნით განსახორციელებელი დამატებითი კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის დაგეგმილ შემარბილებელ ღონისძიებებზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ასევე განხორციელდეს ჭრას დაქვემდებარებული მცენარეთა სახეობების დათვალიერება, ფრინველთა ბუდეების და ხელფრთიანთა თავშესაფრების საპროექტო ტერიტორიაზე არსებობის დადგენის მიზნით და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, შემოთავაზებულ იქნას ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და/ან საკომპენსაციო ქმედებები. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში სააგენტოში წარმოდგენილ იქნეს კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცია შესათანხმებლად;
11. **შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“** ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის განახლებული გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება და ექსპლუატაციის ეტაპზე მონიტორინგის განხორციელება შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, სადაც ასახული იქნება შემდეგი:
 - დაგეგმილი საქმიანობის შედეგად წყლის ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით ზუთხზე მოსალოდნელი ზემოქმედება, საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები;
 - შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების (მათ შორის ექსპლუატაციის ეტაპისათვის ფრინველებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიების ეფექტიანობის), მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, ასევე სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი;
 - მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული დაცული ტერიტორიებისთვის (კოლხეთის ეროვნული პარკი, ზურმუხტის ქსელის საიტი (კოლხეთი - GE0000006), რამსარის ტერიტორია, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანი, ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები (SPA, IBA)) იდენტიფიცირებულ დასაცავ და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე, მათზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილ შემარბილებელ ღონისძიებებზე.
12. **შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“** ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასახული იქნება ავარიების შემთხვევაში ჰაბიტატებზე, ცხოველებსა (მათ შორის ფრინველებზე და წყლის ბიომრავალფეროვნებაზე) და მცენარეებზე მოსალოდნელი რისკების მართვისა, ასევე კოლხეთის ეროვნულ პარკზე და ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე (კოლხეთი - GE0000006) ზემოქმედების პრევენციის საკითხების ასახვა;
13. **შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს ჰაბიტატების აღდგენის მიზნით საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის სააგენტოსთან შეთანხმება, რომელშიც ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია იმ ჰაბიტატების შესახებ, რომლებიც საპროექტო სამუშაოების შედეგად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მისასვლელი გზების, სარკინიგზო ხაზის (ლიანდაგის) და პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობისას, ასევე ხეების ჭრის შედეგად ზემოქმედებას (განადგურება, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია) დაექვემდებარა და ასევე იმ ცხოველთა

სახეობებზე, რომლებიც გვხვდებიან მითითებულ ჰაბიტატებში. დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს ასევე ტერიტორიაზე არსებული ცხოველების, განსაკუთრებით წითელი ნუსხის სახეობების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ღონისძიებებს;

14. შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“ გამწვანებითი ღონისძიებების განხორციელებისას უპირატესობა მიანიჭოს საპროექტო არეალში ბუნებრივად გავრცელებულ სახეობებს;
15. შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“ საწარმოს მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
16. შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
17. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბლექ სი პეტროლიუმს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
18. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
19. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
20. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/548-21-4-202409301703>

